განმარტებითი ბარათი N 1

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტი შეესაბამება ადგილობრივი განვითარების პოლიტიკის დოკუმენტებს. კერძოდ: მუნიციპალიტეტის საშუალოვადინი განვითარების დოკუმენტს, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმას, მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილების და ენერგეტიკის სამოოქმედო გეგმას, მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმას, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს,გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმას. დადგენილება განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს

ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5,0 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10,705.2 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1,166.0 ათასი ლარით (12.2%-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9,705.2 ათასი ლარით;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 11,0 %-ით (966.0 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1000.0 ათას ლარს;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 25%-ით (200.0 ათასი ლარით) იზრდება.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 2,176.7 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 176.7 ათასი ლარი;

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით მიზნობრივი ტრანსფერი 83,3 ათასი ლარით მცირდება.(მიზეზი არის სამხედრო აღიცხვის და გაწვევის სამსახური გადადის თავდაცვის სამინისტროს დაფინანსებაზე)
  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები (სპეციალური ტრანსფერი) 2,000.0 ათასი ლარი; (ბიუჯეტის დეფიციტის დასაბალანსებლად)

- **სხვ შემოსავლების გეგმა განსაზღვრულია 1,525.1 ათასი ლარის ოდენობით.**

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 7.0%-ით (100.1 ათასი ლარით) იზრდება.

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 550.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ პროცენტები 70,0 ათასი ლარი.
- ✓ რენტა 480,0 ათასი ლარი;

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 215,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 30,0 ათასი ლარი;
- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 150,0 ათასი
- ✓ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 35.0 ათასი ლარი;

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 650,0 ათასი ლარით

შემოსავლები სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან და შემოსავლებიდან 110.1 ათასი ლარი.

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 186.0 ათასი ლარს; 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 55.0%-ით (224.0 ათასი ლარით) მცირდება.

- **ფინანსური აქტივების კლების** (თავისუფალი ნაშთი) მაჩვენებელი განისაზღვრება -150.0 ათასი ლარის ოდენობით.

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრებს მუნიციპალიტეტი არ გეგმავს. ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 430.7 ათასი ლარის ოდენობით,(მ.გ.ფ.-ის სესხი მყარი ნარჩენების მართთვის პროექტი, ჯსბ-ის და სათვალთვალო კამერების გრაფიკის თანხა) .

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 14,743.0 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2,928.2 ათასი ლარით, 24.8 %-ით)

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, პირველი ეს არის საგადასახადო შემოსავლების ზრდა,მეორე მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლების ზრდა.

ასევე გაიზარდა სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტების მოცულობა.

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ბაღის მასწავლებელთა ან თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 1,316.0ათასი ლარი;**

  2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტით პრიორიტეტის დაფინანსება შედგენდა 841.0 ათას ლარს.ზრდა არის 475.0 ათასი ლარი,36 პროცენტი.

  მათ შორის:

  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 130,0 ათასი ლარი;

  განხორციელედება გზის საფარის რეაბილიტაცია.ქ. ბაღდათში და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში ასფალტ/ბეტონის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოები.ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში, საუბნო გზების ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით შეკეთება

  - ✓ **წყლის სისტემების** განვითარება -130,0 ათასი ლარი;

    განხორციელედება დახურული სანიაღვრე არხების და წყლის სისტემების რეაბილიტაცია.

    გარე განათება - 480,0 ათასი ლარი;

  - ✓ **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია,ექსპლოატაცია - 170,0 ათასი ლარი;**

    ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. (მოეწყობა განახლებუულ სკვერში და მინი სტადიონთან 2 სველი წერტილი.შემოიღობება სტადიონი)

  - ✓ **საყრდენი კედლების,** მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია - 80,0 ათასი ლარი;

  - ✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები** 26.0 ათასი ლარი. (ახალი შადრევნის ექსპლოატაცია)

  - ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური **ზედამხედველობისა** და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 150,0 ათასი ლარი.

    პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯების ანაზღაურება. და ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო

    საზედამხედველო მომსახურების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 150,0 ათასი ლარი;

    პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ექსპერტიზის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხეხედველობის ხარჯების ანაზღაურება.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1,905.0 ათასი ლარი;**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტით პრიორიტეტის დაფინანსება შედგენდა 1,665.0 ათას ლარს.ზრდა არის 240.0 ათასი ლარი,14 პროცენტი.

მათ შორის:

- ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1,900.0 ათასი ლარი**

  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

- ✓ **მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 5,0 ათასი ლარი**

  მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

- ➢ **განათლება 2,396.9 ათასი ლარი.**

  2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტით პრიორიტეტის დაფინანსება შედგენდა 2,000.0 ათას ლარს.ზრდა არის 396.9 ათასი ლარი,16 პროცენტი.

- ✓ **სკოლამდელი განათლება - 2,150.0 ათასი ლარი;**

  2023 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 150.0 ათასი ლარით (7.5%), (გაიზრდება პედაგოგების ხელფასები); 241.9 ათასი ლარით დაფინანსდება ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

- ➢ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 2,797.1 ათასი ლარი.**

  2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტით პრიორიტეტის დაფინანსება შედგენდა 1,951.0 ათას ლარს.ზრდა არის 846.1 ათასი ლარი, 30.3 პროცენტი.

მათ შორის:

- ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 950.0 ათასი ლარი;**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. დაფინანსებში გათვალისწინებულია ხარჯები ბაღდათის ფეხბურთის გუნდის ჩამოყალიბებისთვის.

- ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა -1,734.1 ათასი ლრი**

  პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა.

ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა -43.0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა -70. 0 ათასი ლარი

- ➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,020.8 ათასი ლარი.**

2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტით პრიორიტეტის დაფინანსება შედგენდა 867.3 ათას ლარს.ზრდა არის 153.5 ათასი ლარი,16 პროცენტი

მათ შორის:

- ✓ **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 174.7 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- ✓ **სოციალური პროგრამები - 836.1 ათასი ლარი;**
- ✓ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია განაგრძობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას რა მიზნითაც პრიორიტეტით გათვალისწინებულია 24 პროგრამა.

გენდერული თნასწორობის ხელშეწყობა- 10.0 ათასი ლარი. მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობირების ამაღლება.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა- 20.0 ათასი ლარი. პრიორიტეტის მიზანია მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა.

- ➢ **მმართველობა - 5,287.2 ათასი ლარი, მათ შორის:**

- ✓ საკრებულოს დაფინანსება - 1,135.0 ათასი ლარი;
- ✓ მერია - 3,610.2 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 30,0 ათასი ლარი;
- ✓ თანამშრომლების სწავლება გადამზადება - 30.0 ათასი ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდითვის სესხის მომსახურება და ვალდებულების კლება

475.0 ათასი ლარი.

- საგანგებო მდგომარეობის მიზნობრივი პროგრამა-7.0 ათასი ლარი.

მოგახსენებთ რომ, პროექტში შეძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია საკრებულოს 24/11/2023 წლის N 67-67233282 წერილით გათვალისწინებული შენიშვნები.

კერძოდ:

პირველ ვარიანტში ბიუჯეტი შეადგენდა 14,707.0 ათას ლარს. წარმოდგენილი პროექტით შეადგენს 14,743.0 ათას ლარს.ზრდა პირველ ვარიანტთან არის 36.0 ათასი ლარი.

გაიზარდა პროქტის პირლელადი ვარიანტით გათვალისწინებული, ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ის დაფინანსება დამატებით 61.5 ათასი ლარით.

ასევე ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“-ის დაფინასება 86.5 ათასი ლარით.

45.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია საფეხბურთო კლუბის დაფინანსება.

50.0 ათასი ლარი დაემატა დაფინანსება პროგრამას ,,საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა,მოწყობა რეაბილიტაცია“.

სანიაღვრე არხების მოსაწყობად გათვალისწინებულია 80.0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა ,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,316.0	1,316.0	0.0	750.0	757.0	1,243.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	130.0	130.0	0.0	0.0	0.0	100.0
02 01 01	ტროტუარების მოწყობა,მოვლა-პატრონობა	0	0	0	0	0	0
02 01 02	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია.	130.0	130.0	0.0	0.0	0.0	100.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	130.0	130.0	0.0	0.0	0	133.0
02 02 01	სანიაღვრე არხების ,რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	80.0	80.0	0.0	0.0	0.0	100.0

02 02 02	წყლის სისტემების მშენებლობა,რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	50.0	50.0	0.0	0.0	0.0	33.0
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	480.0	480.0	0.0	425.0	430.0	485.0

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
01 00	მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,287.2	5,287.2	0.0	4,695.1	5,221.5	5,611.2
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება.	4,745.2	4,745.2	0.0	4,529.1	5,055.5	5,540.2
01 01 01	ბაღდათის საკრებულო	1,135.0	1,135.0	0.0	1,083.0	1,163.0	1,306.0
01 01 02	ბაღდათის მერია	3,610.2	3,610.2	0.0	3,446.1	3,892.5	4,234.2
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	535.0	535.0	0.0	160.0	160.0	65.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	30.0	30.0	0	30.0	30.0	35.0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდი.	0	0	0	0	0	0
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება და კანონით გათვალისწინებული თანხების ჩამოჭრა	0.0	0.0	0	0	0	0
01 02 04	სესხის მომსახურება და დაფარვა (მგფ)	475.0	475.0	0	100.0	100.0	0.0
01 02 05	თანამშრომელთ პროფესიული სწავლების ხარჯი	30.0	30.0	0	30.0	30.0	30.0

01 04	საგანგებო მდგომარეობის მიზნობრივი პროგრამა	7.0	7.0	0	6.0	6.0	6.0
02 04	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	26.0	26.0	0.0	25.0	27.0	75.0
02 04 01	მრავალბინიანი სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	50.0
02 04 02	საკადასტრო რუქის დამზადება	5.0	5.0	0	5.0	5.0	5.0
02 04 03	შადრევნების ექსპლოატაცია	21.0	21.0	0	20.0	22.0	20.0
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა	150.0	150.0	0.0	150.0	150.0	150.0
02 07	მშენებლობა-რეაბილიტაცია	250.0	250.0	0.0	0.0	0.0	100.0
02 07 01	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა,რეაბილიტაცია -ექსპლოატაცია	170.0	170.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 07 02	საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა,მოწყობა რეაბილიტაცია	80.0	80.0	0.0	0.0	0.0	100.0
02 08	მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 09	საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა	150.0	150.0	0	150.0	150.0	200.0

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის /ღონისძიების დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			

03 00	დასუფთვება და გარემოს დაცვა	1,905.0	905.0	1,000.0	1,865.0	1,915.0	2,110.3
03 01	დასუთავება და ნარჩენების გატანა	1,900.0	900.0	1,000.0	1,860.0	1,910.0	2,105.3
03 01 01	ააიპ ბღდათის კეთილმოწყობის დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება	1,900.0	900.0	1,000.0	1.860.0	1,910.0	2,105.3
03 02	ქალაქის გამწვანება	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024 წლის გეგმა			2025წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
04 00	განათლება	2,396.9	1,396.9	1,000.0	2,287.0	2,297.0	2,347.0
04 01	სკოლამდელი აღზრდა	2,150.0	1,150.0	1,000.0	2,040.0	2,050.0	2,100.0
04 01 01	ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღრზდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება“	2,150.0	1,150.0	1,000.0	2,040.0	2,050.0	2,100.0
04 02	სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების ხელშეწყობის პროგრამა	246.9	246.9	0.0	247.0	247.0	247.0
04 02 01	სასკოლო განათლების ხელშეწყობა	5.0	5.0	5.0	5.0	5.0	5.0
04 02 02	ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“	241.9	180.5	0.0	242.0	242.0	242.0

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
05 00	კულტურა,რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი	2,797.1	2,797.1	0.0	2,738.0	2,743.0	2,743.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	950.0	950.0	0.0	938.0	938.0	938.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	32.0	32.0	0.0	20.0	20.0	20.0
05 01 02	ააიპ.ბაღდათის სპორტის და მოზარდთა აქტივობის ცენტრი	915.0	915.0	0.0	915.0	915.0	915.0
05 01 04	ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა	3.0	3.0	3.0	3.0	3.0	3.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშწყობა	1,734.1	1,734.1	0.0	1,715.0	1,715.0	1,715.0
05 02 01	ააიპ. ბაღდათის ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი	1,390.0	1,390.0	0.0	1,395.0	1,395.0	1,395.0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	45.0	45.0	0.0	20.0	20.0	20.0
05 02 03	ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“	299.1	299.1	0.0	300.0	300.0	300.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფნანსება	43.0	43.0	0.0	15.0	20.0	20.0
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	40.0	40.0	0.0	15.0	20.0	20.0
05 03 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	3.0	3.0	0.0	0.0	0.0	0.0

05 04	ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა	70.0	70.0	0.0	70.0	70.0	70.0

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის /ღონისძიების დასახელება	2024წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველოფა.	1,020.8	844.1	176.7	834.3	874.3	932.0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	174.7	0.0	174.7	174.7	174.7	174.7
06 01 01	ააიპ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	174.7	0.0	174.7	174.7	174.7	174.7
06 02	სოციალური პროგრამები	836.1	834.1	2.0	649.6	689.6	747.3
06 02 01	სამედიცინო დახმარების ხარჯები	270.0	270.0	0.0	190.0	215.0	230.0
06 02 02	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2.0	0.0	2.0	2.0	2.0	2.0
06 02 03	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები	2.5	2.5	0.0	2.5	2.5	2.5
06 02 04	უფასო სასადილოების დაფინანსება	65.0	65.0	0.0	65.0	65.0	65.0
06 02 05	ოჯახის ბავშვების სოციალური დაცვა	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	20.0
06 02 06	სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი	5.0	5.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 07	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარება	70.0	70.0	0.0	61.1	60.0	60.0
06 02 08	ვეტერანთა დახმარება	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	20.0
06 02 09	შშმ პირთა დახმარება	40.0	40.0	0.0	40.0	40.0	40.0

06 10	02	ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	2.0
06 11	02	დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკის) მოქალაქეთა დახმარება	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0
06 12	02	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	60.0	60.0	0.0	45.0	45.0	45.0
06 13	02	18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების დახმარება.	35.0	35.0	0.0	15.0	15.0	15.0
06 14	02	შინმოვლისა და შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურება.	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 15	02	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	17.0	17.0	0.0	12.0	12.0	12.0
06 16	02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0
06 17	02	მედიკამენტების დაფინანსება	64.6	64.6	0.0	60.0	60.0	60.0
06 18	02	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირების და რეაბილიტაციის პროგრამა	8.0	8.0	0.0	5.0	5.0	5.0
06 19	02	სასურსათო პაკეტებით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 20	02	საცხოვრებლით უზრუნველოფა	105.0	105.0	0.0	60.0	76.1	118.8
06 21	02	ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის თანადაფინანსება	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0
06 22	02	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება	25.0	25.0	0.0	25.0	25.0	25.0
06 23	02	ტრანსპორტით უზრუნველყოფა	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	7.0
06 03		გენდერული თანასწორობის ხელშწყობა	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის /ღონისძიების დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	20.0	20.0	0.0	0.0	0.0	0.0
07 01	სოფლის მეურნეობის მხრდაჭერა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
07 02	ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა	20.0	20.0	0.0	0.0	0.0	0.0

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5,287.2 ათასი ლარი;*
- *თავდაცვა - 0.0 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 726.0 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 1,985.0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 530.0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 174.7 ათასი ლარი;*
- *დასვენება,კულტურა და რელიგია-2,797.1 ათასი ლარი;*
- *განათლება - 2,396.9 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 846.1 ათასი ლარი;*

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები);
2. პროგრამული დანართი ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
3. მოქალაქის გზამკვლევი.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების

დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი